ინდური ფილოსოფიის პრობლემა ჰეგელის სისტემაში სანქჰიას მაგალითზე

გიორგი ბერძენიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე ფილოსოფიის მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

სამაგისტრო პროგრამა: ფილოსოფია

სამეცნიერო ხელმძღვანელი: ნინო როდონაია

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

განაცხადი

როგორც წარდგენილი სამაგისტრო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

გიორგი ბერძენიშვილი

06.06.2026

სარჩევი

აბსტრაქტი 1

Abstract 3

მადლობა 5

შესავალი 6

1. ლიტერატურის მიმოხილვა 11

1.1. ჰეგელის კვლევების ქართული ტრადიციის შესახებ 11

1.2. პირველწყაროები და რედაქციული საკითხი: ჰოფმაისტერის გამოცემა და ჰეგელის აღმოსავლური ფილოსოფიის ლექციები 13

1.3. ჰეგელისა და ინდური ფილოსოფიის ურთიერთობის კვლევები 15

1.4. ინდოლოგიური კვლევები და სანქჰია-იოგას თანამედროვე ინტერპრეტაციები 18

2. კვლევის მეთოდოლოგია 22

3. ჰეგელის სისტემის ჩარჩო 25

3.1. ცნება (Begriff) და გონი/სული (Geist) 26

3.2. ისტორია, როგორც თავისუფლების განვითარება 29

თავისუფლების გზა: აღმოსავლეთიდან დასავლეთამდე 30

3.3. ფილოსოფიის ისტორია, როგორც ცნების ისტორიული თვითგანვითარება 32

რატომ არ არის ჰეგელი ნეიტრალური ისტორიკოსი? 34

3.4. აღმოსავლური სამყარო ჰეგელის სისტემაში 36

3.5. „აღმოსავლური ფილოსოფიის“ საზღვრული სტატუსი ჰეგელის ფილოსოფიის ისტორიაში 39

3.6. ჰეგელის ინდოეთის ინტერპრეტაციის წყაროები და პოლემიკური კონტექსტი 41

3.7. ინდოეთი ჰეგელის სისტემაში: თავისუფლებისა და დიალექტიკური განვითარების პრობლემა 44

4. ჰეგელის მიერ ინდური ფილოსოფიისა და სანქჰიას განხილვა 1825/26 წლების ლექციებზე აქცენტით 46

4.1 აღმოსავლური ფილოსოფია, როგორც ფილოსოფიის ისტორიის წინარე მდგომარეობა 46

4.2. ინდური ფილოსოფიის განხილვა ჰეგელის მიერ 48

4.3. სანქჰიას პირველი სისტემური წარმოდგენა ჰეგელის ლექციებში 52

4.3.1. კაპილა — სანქჰიას ფუძემდებელი 53

4.3.2. სანქჰიას მიზანი 55

4.3.3. სანქჰიას ეპისტემოლოგია 57

4.3.4. სანქჰიას ოცდახუთი პრინციპი: ჰეგელის მიერ ტატვების რეკონსტრუქცია 58

4.3.5. სამი გუნა 59

4.3.6. სანქჰია და იოგა 59

4.3.7. გათავისუფლება და სანქჰიას საზღვარი 60

5. 1827/28 და 1829/30 წლის ბერლინის ლექციები და ინდური ფილოსოფიის სტატუსის დაზუსტება 61

6. ჰეგელის სანქჰიას ინტერპრეტაციის კონტექსტი და ანალიზი 68

6.1. ჰეგელის ფილოსოფიის კრიტერიუმები და სანქჰიას ფილოსოფიური სტატუსი 69

6.2. პურუშა, Geist და „ინტელექტუალური სუბსტანციურობის“ პრობლემა 72

6.3. სანქჰია და ინდოლოგიური წყაროების ფრაგმენტულობა ჰეგელის ლექციებში 75

6.4. სანქჰია, რელიგია და სოტერიოლოგია: რა აზრით არის სანქჰია რელიგიასთან დაკავშირებული? 79

7. ინდური ფილოსოფიის საბოლოო სტატუსი და ჰეგელის მიდგომა 86

დასკვნა 91

ბიბლიოგრაფია 95

აბსტრაქტი

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომი იკვლევს მიერ ინდური ფილოსოფიის პრობლემას გ. ვ. ფ. ჰეგელის სისტემაში *სანქჰიას* მაგალითზე. კვლევის ძირითადი საგანია ჰეგელის 1825/26, 1827/28 და 1829/30 წლების ფილოსოფიის ისტორიის ლექციები, ასევე მათი რედაქციული ისტორია და ის ფრაგმენტული ინდოლოგიური წყაროები, რომლებიც ჰეგელისთვის ხელმისაწვდომი იყო. ნაშრომის მთავარი კითხვაა, როგორ არის შესაძლებელი, რომ ჰეგელი, ერთი მხრივ, „აღმოსავლურ ფილოსოფიას“ გამორიცხავს „ნამდვილი ფილოსოფიის“ ისტორიისგან, ხოლო, მეორე მხრივ, ინდურ აზრს ხანგრძლივად განიხილავს და უფრო გვიანდელ ლექციებში ინდოეთში აბსტრაქტული, ზოგიერთ შემთხვევაში კი, „ნამდვილი“ ფილოსოფიის არსებობასაც აღიარებს.

კვლევაში გამოყენებულია ისტორიულ-ფილოსოფიური რეკონსტრუქციის, ტექსტუალური და ჰერმენევტიკული ანალიზის, წყაროთმცოდნეობრივი შედარების, ისტორიული კონტექსტუალიზაციისა და შედარებით-კონცეპტუალური ანალიზის მეთოდები. თავდაპირველად რეკონსტრუირებულია ჰეგელის ის სისტემური კრიტერიუმები, რომელთა საფუძველზეც იგი ფილოსოფიას აფასებს: ცნება, გონი, თავისუფლება, ისტორიული განვითარება, გაშუალება და თვითცნობიერი სუბიექტურობა. ამის შემდეგ, ჰეგელის მიერ *სანქჰიას* განხილვა შედარებულია ქოლბრუქის ნარკვევებთან და თანამედროვე ინდოლოგიურ კვლევებთან. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა *პურუშას, პრაკრტის,* ოცდახუთ *ტატვას,* სამ *გუნას,* ეპისტემოლოგიას, განთავისუფლების მიზანს, *სანქჰიასა* და იოგას ურთიერთმიმართებას და ფილოსოფიის, რელიგიისა და სოტერიოლოგიის კავშირის საკითხებს.

ნაშრომი აჩვენებს, რომ ჰეგელის პოზიცია არ არის ერთგვაროვანი და მისი დაყვანა ინდური ფილოსოფიის მარტივ უარყოფაზე არასწორი იქნებოდა. გვიანდელ

ლექციებში იგი ინდოეთში ფორმალური ლოგიკის, აბსტრაქტული ფილოსოფიისა და ფილოსოფიური ტექსტების არსებობას აღიარებს; *სანქჰიას* კი წარმოაჩენს, როგორც აზროვნების ყოვლისმომცველ სისტემას, რომელიც აბსტრაქციას კონკრეტულ ინტელექტუალურ შინაარსს ანიჭებს. მიუხედავად ამისა, საბოლოოდ ჰეგელი ინდურ აზრს მაინც „ინტელექტუალური სუბსტანციურობის“ სტატუსს ანიჭებს და მას აკრიტიკებს გაშუალებული სუბიექტურობის, თვითცნობიერი თავისუფლებისა და შინაგანად აუცილებელი ცნებითი განვითარების ნაკლებობის გამო.

ნაშრომის ძირითადი დასკვნაა, რომ *სანქჰია* ჰეგელისავე კრიტერიუმების ნაწილს აკმაყოფილებს და, ამ აზრით, მისი ფილოსოფიური სტატუსის უარყოფა პრობლემურია. თუმცა, ამავე დროს, ინდური ფილოსოფიის ინტეგრირება ჰეგელის ფილოსოფიის ისტორიის პროექტში სისტემურადაც რთულდება. ეს სირთულე დაკავშირებულია არა მხოლოდ დოქტრინულ შეფასებებთან ან რომანტიზმთან პოლემიკასთან, არამედ ინდური და ევროპული ტრადიციების ქრონოლოგიურ გადაფარვასთან, მათ შორის დადასტურებადი ისტორიული გაშუალების ნაკლებობასთან და ჰეგელის ფილოსოფიის ისტორიის ბერძნულ–შუასაუკუნეობრივ–თანამედროვე ტრიადულ სტრუქტურასთან.

ამგვარად, ნაშრომი გამოკვეთს იმ დაძაბულობას, რომელიც ჰეგელის მიერ ინდური ფილოსოფიის ნაწილობრივ აღიარებასა და მისი „ნამდვილი ფილოსოფიის“ ისტორიისგან გამორიცხვას შორის არსებობს. კვლევის მნიშვნელობა უკავშირდება როგორც ჰეგელის ევროპოცენტრიზმის საკითხს, ისე შედარებითი ფილოსოფიისა და ფილოსოფიის ისტორიის იმ კრიტერიუმების განხილვას, რომელთა საფუძველზეც ფილოსოფია საკუთარ ისტორიულ საზღვრებს ადგენს.

საკვანძო სიტყვები: ჰეგელი; ინდური ფილოსოფია; *სანქჰია;* იოგა; ფილოსოფიის ისტორია; ინტელექტუალური სუბსტანციურობა; აღმოსავლური ფილოსოფია; ევროპოცენტრიზმი; შედარებითი ფილოსოფია.

Abstract

This thesis examines G. W. F. Hegel's interpretation of Indian philosophy through the case of *Sāṃkhya*. It focuses primarily on the lectures on the history of philosophy from 1825/26, 1827/28, and 1829/30, while also considering their editorial history and the fragmentary Indological sources available to Hegel. The study asks how Hegel could exclude "Oriental philosophy" from the "proper history" of philosophy while simultaneously devoting sustained attention to Indian thought and, in his later lectures, acknowledging the presence of abstract and even "genuine" philosophy in India.

The research employs historical-philosophical reconstruction, textual and hermeneutic analysis, source-critical comparison, historical contextualization, and comparative-conceptual analysis. Hegel's systematic criteria—concept, spirit, freedom, historical development, mediation, and self-conscious subjectivity—are reconstructed before his account of *Sāṃkhya* is compared with Colebrooke's essays and modern Indological scholarship. Particular attention is given to *puruṣa*, *prakṛti*, the twenty-five *tattvas*, the three *guṇas*, epistemology, liberation, the relation between *Sāṃkhya* and Yoga, and the connection between philosophy, religion, and soteriology.

The study shows that Hegel's position was neither uniform nor reducible to simple dismissal. His later lectures contain significant qualifications: he recognizes formal logic, abstract philosophy, and philosophical texts in India, and presents *Sāṃkhya* as a comprehensive system that gives abstraction a concrete intellectual content. Nevertheless, he ultimately subsumes Indian thought under "intellectual substantiality" and criticizes it for lacking mediated subjectivity, self-conscious freedom, and an internally necessary conceptual development. The thesis argues that *Sāṃkhya* satisfies several of Hegel's own criteria for philosophical status, yet its integration into his history of philosophy remains structurally difficult. This difficulty arises not only from doctrinal judgments or anti-Romantic polemics, but also from chronological overlap between Indian and European traditions, the absence of a demonstrable historical mediation between them, and Hegel's Greek–medieval–modern triadic organization of philosophical history.

The thesis therefore clarifies the tension between Hegel's partial recognition of Indian philosophy and its exclusion from philosophy's "proper history," contributing to debates on Eurocentrism, comparative philosophy, and the criteria by which philosophy defines its own historical boundaries.

Keywords: Hegel; Indian philosophy; Sāṃkhya; Yoga; history of philosophy; intellectual substantiality; Oriental philosophy; Eurocentrism; comparative philosophy.

მადლობა

წინამდებარე სამაგისტრო ნაშრომის მომზადების პროცესში გაწეული დახმარებისა და მხარდაჭერისთვის განსაკუთრებულ მადლობას ვუხდი ჩემს სამეცნიერო ხელმძღვანელს, პროფესორ ნინო როდონაიას, რომლის კონსულტაციები ჩემთვის შთამაგონებელი და მოტივაციის მიმცემი აღმოჩნდა.

მადლობას ვუხდი ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოსოფიის სამაგისტრო პროგრამის ლექტორებს მაღალი პროფესიული სტანდარტებით წარმართული სასწავლო პროცესისთვის.

ასევე მადლობას ვუხდი ჩემს ოჯახს მოთმინებისა და იმ პირობების შექმნისთვის, რომლებმაც ნაშრომზე მუშაობის დასრულება შესაძლებელი გახადა.